

# ყომრალი მჟავე - Braune Saure Waldböden

ყომრალი მჟავე ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში 10,1 % შეადგენს (6827,4 კვადრატული კილომეტრი). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოში ზღვის დონიდან 800(900) მ-დან 1800(2000) მ-მდე. დასავლეთ საქართველოში ეს ნიადაგები ესაზღვრება ყვითელ-ყომრალ და მთა-ტყე-მდელოს, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში - ყავისფერ და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს. ტყის ყომრალი მჟავე ნიადაგები ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით, ზოგჯერ პროფილის შუა ნაწილის გათიხების შედეგად აღვილი აქვს ტექსტურულ დიფერენციაციას. პროფილს შემდეგი შენება აქვს: A<sub>0</sub> - A - B<sub>m</sub> - C. მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებელია მეტამორფული გათიხებული B<sub>m</sub> ჰორიზონტის არსებობა. ყომრალი მჟავე ნიადაგები ხასიათდება: გენეტიკური ჰორიზონტებზე სუსტი დიფერენციაციაციით, პროფილის მეტ-ნეკლებად მონოტონური ყომრალი შეფერილობით, კარგად გამოხატული მკვდარი საფარის არსებობით, მჟავე რეაქციით, პროფილის მთელი სისქის გათიხებით, ლექის ფრაციის სუსტი გადაადგილებით პროფილის მიხედვით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, შთანთქმის საშუალო ტევადობით, არამაძღრობით. საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია საერთო და საშუალოდ - ჰიროლიზაბადი აზოტით, საშუალოდ უზრუნველყოფილია ან მდიდარია საერთო და ღარიბია ან საშუალოდ უზრუნველყოფილია შესათვისებელი ფოსფორით, მდიდარია საერთო კალიუმით და საშუალოდ უზრუნველყოფილია გაცვლითი კალიუმით. არსებობს წყლისმიერი ეროზიის საშიშროება.

Der gesamte Bereich der braunen sauren Waldböden macht 10.1% Georgiens aus (682.740 ha). Diese Böden treten weitverbreitet in Ost- und Westgeorgien auf, aber im Südteil befinden sie sich zwischen 800 - 2000 m.. Diese Böden sind vergesellschaftet mit gelbbraunen Böden und Bergwaldwiesenböden im Westteil von Georgien, aber in Ost- oder Südgeorgien mit den Zimtfarbenen Böden und Bergwaldwiesenböden. Diese Böden sind im Profil nicht stark differenziert. Es gibt eine Texturdifferenzierung in der Mitte des Profils. Das Profil hat folgenden Aufbau: A<sub>0</sub>-A-B<sub>m</sub>-C. Das hauptdiagnostische Zeichen ist der metamorphe B<sub>m</sub> Horizont. Diese Böden sind charakterisiert durch eine gleichmäßig braune Farbe, gut ausgebildete Streu, saure Reaktion und Tonanreicherung im gesamten Profil, langsame Verlagerung der Schlufffraktion im Profil, einen durchschnittlichen Gehalt an Humus und eine durchschnittliche Absorptionskapazität, ungesättigt. Braune saure Waldböden sind einigermaßen versorgt oder reich an totalem Stickstoff und mittel an hydrolisierbarem Stickstoff. Entsprechend sind die Gesamtgehalte an Phosphor mittel oder reich. Die Gehalte an mobilem Phosphor sind schlecht oder mittel. Braune saure Waldböden sind reich an totalem Kalium und mittel versorgt mit austauschbarem Kalium. Es existiert die Gefahr der Wassererosion.

